გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 13
(11 674)

25 – 27 თებერვალი (სამშაბათი – ხუთშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისში 15 ახალი სპორტული ეროვნული პალატა

გვ. 5

ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, მაგრამ პოლიტიკაში იმ ხალხის გვყავრა, ვინც სიტყვას საქმედ აქცევს, ანუ რეალურად დაგვანახვებს, რომ ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავენ. თბილისის ახალარჩეულმა საკრებულომ გასულ უქმეებზე დედაქალაქში 15 კეთილმოწყობილი საბავშვო სპორტული მოედანი გახსნა, რითაც ყველას, უპირველესად თვით პოლიტიკოსებს და ხელისუფლებას დაანახვა, თითოეული მოედნის მოსაწყობად 60-70 ათასი ლარის ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინეს. აგერ გავაკეთეთ და დავრწმუნდით, რომ 7 ათასზე მეტი არაა საჭირო. ესე იგი, მოპარეა უნდოდათ. ასეთ ხალხს ქურდობის მადას დავუკარგავთ – თქვა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ საკაშვილმა.

ერთ-ერთ მოედანზე თვით საკრებულოს ახალგაზრდა წევრებმაც ჩაატარეს ამხანაგური მატჩი ადგილობრივი მოსახლეობის გუნდთან. პირობა კი ასეთი იყო: წაგებული მოსაწილეობას მიიღებდა ახალი სპორტული მოედნის შენებლობაში. ეს, ისე, სახალხოდ, თორემ მოედნების შენებლობაზე საკრებულოს ბიუჯეტიდან და მოსახლეობაც ხელდასაკაპიწებულები შრომობენ გვერდიგვერდ.



ნაღვლი გატყდა, თბილისის ხელისუფლება თავის ხალხზე, მოსახლეობის, უპირველესად კი მოზარდი თაობის გაჯანსაღებაზე ზრუნვას კონკრეტული საქმეებით იწყებს.

ნ. ქავთარაძე

SOS იყიდეთ, იყიდეთ... სპორტის სასახლე...

თბილისის სპორტის სასახლისა და „დინამოს“ სტადიონის ფორსირებული გაყიდვა სპონტანურად წამოიჭრა დღის წესრიგში

ერთხელ უკვე დიდი ხმაური ატყდა ამ თემაზე, მათ შორის „ლელოს“ ფურცლებზე და, ვისაც თბილისის სპორტის სასახლის ხელში ჩაგდება სურდა, ინტერესი გაჩდა, უკან დაეხია. ახლა ხელახლა წამოინია ეს თემა, თანაც იმე უე ცრად, თვით სპორტის მესვეურების, მეტიც, ამ სპორტული ბაზის ახლანდელი ხელმძღვანელების გაოცებაც კი გამოინვია.

რაღომ ასე მოულოდნელად და ფორსირებულად? იმ მომენტიდან, რაც ეს თემა ხელახლა გაღელერდა, „ლელო“ შეეცადა გარკვეულიყო საქმის არსში, გაკითხვა-გამოკითხვით დიდი ვერაფერი შეეიტყვეთ, ასეთი ჩანაფიქრები, საქართველოში ესოდენ მომრავლებულ გაუსხსნელ მკვლელობებს არაფრით ჩამოუვარდება გასაიდუმლოებით და კიცი იძულებული ხდება ლოგიკას და ვერრიებს მიმართოს. ერთი ცხადია, დაქირავებული მკვლელის მსგავსად, სახელმწიფო ობიექტების მიმთვისებლები, მსხვრევლს ჩასაფრებულები ელოდებიან. სპორტის სასახლისა და მასთან ერთად „დინამოს“ სტადიონის გაყიდვისათვის „ალალი“ და ხელსაყრელი წინაპირობა ახლა ბიუჯეტის შეუსრულებლობის კრიტიკულმა სიტუაციამ შექმნა. ამ პერიოდისთვის 40 მილიონი სპრივატიზაციო შემოსავალია დაგეგმილი. ზუსტად ასეთ კრიტიკულ მომენტს უკავშირებენ თავიანთ ინტერესებს ჩასაფრებულები. სახელმწიფოს ბიუჯეტის შესრულება აინტერესებს – აი, ის შენანშნავი ფონი, აი, ინტერესთა თანხვედრა, ანუ „უსაყვედურო“ საბაბი მადის დასაკმაყოფილებლად.

ვთქვათ გაიყიდა სპორტის სასახლე და „დინამოს“ სტადიონი, მერე და, რას მოვიგებთ ამით? მოვიგებთ იმას, რაც მოვიმკეთ ასე სახნრაფოდ, თავის დროზე, ვაკის საცურაო აუზის გაყიდვით. თუმცა მსგავს საქმეში მოგებული, საბოლოოდ, მაინც მყიდველი რჩება – სპორტულ ბაზას პროფილს არ შეუნარჩუნებს, გაპარტახებამდე მიიყვანს და მერე, თავად რა ენაღვლება, ისევ სახელმწიფოს დაუწყებს ვაჭრობას – ჩალის ფასად ნაყიდში ოქროს ფასს მოსთხოვს, ანდა, სხვა მყიდველი გამოჩნდება – მისთვის უკვე სულ ერთია. საცურაო აუზი ვაკეში დაახლოებით 28 ათას დოლარად გაყიდულა, ახლა მისი გამოსყიდვა და ქართველი ხალხისთვის საჩუქრად გადაცემა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის აქტიურობით, უცხოეთში მოღვაწე ერთ ქართველ ბიზნესმენს გადაუწყვეტია, მაგრამ იცით, რამდენს ითხოვს ახლანდელი მფლობელი? – 350 ათას დოლარს. ეს მაშინ, როცა ამ თბილისელმა „პატრიოტებმა“ აუზის სასტუმრო უკვე მითვისებს საცხოვრებლად და, ფატტობრივად, გადახდილი თანხა ათმაგად ერთხელ უკვე დაიბრუნეს ყოფითი პირობების ზღაპრულად გაუმჯობესებენით.

არის თუ არა გამოსავალი? ცხადია, არის. საჭიროა სახელმწიფომ სარეპონტო სამუშაოების (მინისძვრის შემდეგ სპორტის სასახლის გუმბათის შეკეთება, გასახდელების და ა.შ. კეთილმოწყობა) ჩასატარებლად გაიღოს თანხა.

შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ!

ბ. ჯაბუაძე

ნოვერში წაიკითხავთ:

- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და სხვა ზოგიერთი სახეობა სოკ-ში ვერ გასწირა
- **ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია კოტრდება?**
- რა ბიზნესს ამისდევენ ცნობილი ფეხბურთელები
- **101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის**
- თაღლითები ფორეულა-1-ის სახელით...
- **კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...**

ბელა ფალიანგა კიდევ ერთი გამარჯვება მოიოვალა

წარმატებით გამოდიან ძმები რამაზი და ზალვა ფალიანები პროფესიულ რინგზე კრიეში. აჭყერად უმცროსი ძმა ზალვა გამოვიდა და ოთხრაუნდიან ბრძოლაში დამარცხა გაცილებით გამოცდილი მოკრივე ამერიკელი ანდრეას ხარკსი. ზალვამ ყოველ პირველ სამ რაუნდში ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, მეოთხე რაუნდში კი ორთაბრძოლა შეწყდა.

მომავალი ბრძოლები ძმებს ატლანტიკ სიტიში ელოდებიან, რამაზს 14, ზალვას — 18 მარტს.

ჩვენი მოკრივეების მენეჯერია მაიკ მაიკლი, პირადი მწვრთნელი საქართველოში — დავით ქავთარაძე.

„პორჯღალოსნებმა“ ესპანელები სახამშრალი დაგოვეს პორგუგალიელებმა კი რუმინელები დაამარცხეს

ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ ტურში პორტუგალიელებთან მარცხის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ამიჯი, ცოტა არ იყოს, შეირყა. გუნდის ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა, რომ ლისაბონში დამშებული შეცდომების გამეორება ესპანელებთან თბილისურ მატჩში უფრო მძიმე სიტუაციაში ჩავარდნას ნიშნავდა. ესპანელებს, მართალი სუფი გუნდი ჰყავთ, თუმცა მაინც ცხადი იყო, რომ საკუთარ მოედანზე რუსეთის ნაკრებთან განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ ისინი შეეცდებოდნენ შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას „ბორჯღალოსნებთან“ მატჩში. აკი, თამაში მათ დიდი მონდომებით დაიწყეს. ისინი აქტიურობდნენ, თუმცა ეს მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ქართველმა მორაგბეებმა ელვისებური შეტევა გაახორციელეს და ნიკოლაენკომ ღელი გაიტანა. ამის შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობა აშკარა იყო. კლიდ სორელის შეგრიდების დაცვაში კარგი თამაშის წყალობით, ესპანელებმა ბევრი ვერაფერი დირებული შეშენეს. ქართველებმა გაიმარჯვეს 34:3.

მატჩის შემდეგ კლიდ სორელმა განაცხადა, რომ მძიმე ამინდის პირობებში (აქვე გეტყვით, რომ მატჩი ჩაშლის პირას იყო, კომისრის მითითებით მოედანი თოვლისგან გაწმენდეს, რის შემდეგაც მატჩი დაგვიანებით, მაგრამ მაინც შედგა) თამაშის ხარისხი მდარე იყო.

(იხ. მე-3 გვ)

დაჯილდოება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული სპორტის განვითარებაში, სპორტული ბაზების აშენება-განახლებაში, გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნაში, რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის საქართველოს სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი ბიბი ჯიშიაშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მილოცვები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღირსების ორდენის მინაჭებას ულოცავს სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს ბიბი ჯიშიაშვილს.

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მამუკა და თამუნა კვარაცხელიას ულოცავს ქალაშვილის ეკატერინეს დაბადებას და უსურვებს ბედნიერებას.

* * *

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვებს.

* * *

საქართველოს ვეტერანი მორაგბეები და მეგობრები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ წარსულში ცნობილ მორაგბეს და ქუთაისს საზოგადოებრიობის ღირსეულ წარმომადგენელს, ქუთაისის „აია“-ს შემადგენლობაში სბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონს და თასის ორგზის მფლობელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრების წევრს ალექსანდრე (საშა) ნაბახტიარს.

ქანიჯაე შოთა არველაძეს ეარადონა უნდა გაასცნოს

ბაზეთის ბასკეტბოლი

შოტლანდიური საფეხბურთო კლუბ „რეინჯერსის“ ქართველი ფორვარდი ახლოსაა ბავშობის ოცნების ახდენასთან — მალე ეიაღნობს არგენტინელი ფეხბურთის ვარსკვლავს დიეგო მარადონას და მასთან ერთად ითამაშებს ფეხბურთში. თურმე შოთას თავიანთ თანაგუნდელი კლაუდიო კანიჯა შეპირებია, ჩემს საშობლოში დაგპატიჟებ და მარადონას გაგაცნობო. კლაუდიოს ისიც უთქვამს, მარადონა მზად არის, არველაძესთან ერთად ფეხბურთი ითამაშოს. კვირას შოთა არველაძეს 30 წელი შეუსრულდა.

რიი კინს მწვრთნელობა სურს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშემ რიო კინმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებისთანავე მწვრთნელობის პროფესიას აირჩევს. მარიოლია მანჩესტერელთა თავკაცის ალექს ფერგიუსონის აზრით, კინს კიდევ 6 სეზონი შეუძლია ჩაატაროს მაღალ დონეზე. ირლანდიელი ფეხბურთელი მწვრთნელობასთან დაკავშირებით უკვე სამობელო გეგმებსაც აწყობს. „უკვე 32 წლის ვარ და მომავალზეც უნდა ვიფიქრო“, — ამბობს რიო კინი.



ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲗᲝᲕᲐᲕᲐᲚ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ 3 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔᲑᲡ

ᲗᲝᲕᲐᲕᲐᲚ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲛᲓᲔ 1 ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲓᲐ 6 ᲗᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲗᲠᲘᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ - ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ!

ᲣᲙᲔᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲑᲣᲛᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

საქართველოს მოკიდებებმა წლევანდელი სპორტული სეზონი საქართველოს განათლების სამინისტროს კადეტ მოკრივეთა ასპარეზობით დაიწყო, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის გიორგი კანდელაკის მშობლიურმა ვარიანმა უმასპინძლა. აქ თავი მოიყარა 154 მოკრივემ ჩვენი ქვეყნის 19 ქალაქიდან და რაიონიდან. შეჯიბრების მიზანი საქართველოს ნაკრები გუნდისთვის იმ მოკრივეების შერჩევა იყო, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მარტის ბოლოს მოსკოვის ტარიციეულ ტურნირში. ეს შეჯიბრება საბჭოთა კავშირის დროიდან ტარდება და „იუნიე პერჩატკის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ვარიანში ორთაბრძოლებს თავლაურს ადევნებდა კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი, რომელიც აუტაცებული დარბაზიდან სამრაველი. მანვე მადლობა გადაუხადა გუნდის მწვრთნელებს, რომლებმაც მიუხედავად დღევანდელი ეკონომიური და ფინანსური გაჭირვებისა, მაინც მოახერხეს შეგირდების ჩაყენა ვარიანში. ფედერაციის პრეზიდენტმა მწვრთნელებს დაზუტტებული ინფორმაცია მიაწოდა კადეტ მოკრივეთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შესახებ. დეტალურად ისაუბრა იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც წონით და ასაკობრივ კატეგორიებს შეეხება. მოკრივეებს კი წარმატებები უსურვა და კვლავ შეახსენა დევიზი: „მეტოქეობა რინგზე მთავრდება!" მეგობრობას კი საფუძველი შეჯიბრებებზე ეფრება და შემდგომ მთელი ცხოვრება გრძელდება. აღსანიშნავია, რომ სტუმრები ცხოვრობდნენ ვარიანელთა ოჯახებში, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს.

მოკრივეთა უმეტესობა კი პირველად როდი იყო ვარიანში.

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო განათლების სამინისტროსთან არსებული დავით კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზრებული კრივის სპორტული სკოლა (დირექტორი რევაზ მეგრელიშვილი), მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ტარიელ გოგოჭური, ბენერალური მდივანი — სპორტის ოსტატი გურამ ფეფდარიანი, მენეჯერი — გიკობახიძე, ეიერის წევრები საქართველოს დამსაჯურებელი მწვრთნელები: აკაოსდილ შომიაშელი და ტარიელ ფრუალაშელი. ასპარეზობას თვალყურს ადევნებდნენ კრივის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კოტე ბერძენიშვილი, კადეტ და ჭაბუკ მოკრივეთა მთავარი მწვრთნელი ბეჟან ჭიპინავა, განათლების სამინისტროს კადეტ მოკრივეთა უფროსი მწვრთნელი რაჭაზ ნიკოლაძე. სწორედ მან უნდა დააკომპლექტოს მოსკოვის ტურნირისთვის ნაკრები. მონაწილეთა სიმრავლის გამო, ზოგიერთ წონით კატეგორიაში გამოვლინდა 2-3 გამარჯვებული. კადეტთა შორის ესენი არიან: *42 კგ:* გურამ გოგიაშელი, *45 კგ:* ბორის მდინარაძე (ორივე — ვარიანი) და გურამ გეიმრაძე (რუსთავი), *48 კგ:* ედგარ ლეონრაძე (ბათუმი) და დავით მჭედლიშვილი (რუსთავი). *51 კგ:* ბექა ჯავახაძე (ქუთაი), *54 კგ:* გიორგი ტყეშელაშვილი (ქუთაი), დაზბერ ადამიანი (სენაკი) და ლევან ჯომარდაშვილი (ვარიანი). *57 კგ:* მურაზ ბარამკაძე (ფოთი), გიორგი ნაკაძი (ზესტაფა) და სპარტაკ წოწორაკი (სენაკი). *60 კგ:* გიორგი გელაშვილი (ქუთაი) და გიგი ყვერნაძე (ფოთი). *63,5 კგ:* ზაქარია ხუციშვილი, გელა გელეფანშვილი (ორივე — ვარიანი). *67 კგ:* ბაკური გოგოჭური (თბ) და მერაფი სურმავა (ფოთი). *71 კგ:* გელა მამარდაშვილი (თბ) და ლაშა ხუციძე (ქუთ); *75 კგ:* ირაკლი ფიფია (ფოთი); *81 კგ:* გიორგი ბეგმაზაშვილი (ვარიანი) და ლაფი ...ოლ 188 კგ: ზურაბ ნონიაშვილი (ვარიანი).

ახალგაზრდებმა (1985-86 წ.წ.) სამ წონით კატეგორიაში ისპარეზეს. გამარჯვება წილად ხვდათ: *81 კგ:* ნაგო კილაძეს (საჩხერე), *91 კგ:* ანზორ ჯიქიას (ფოთი) და გიორგი მაჯაშვილს (ვარიანი). გამოვლინდნენ პერსპექტიული მოკრივეებიც, რომლებიც გამარჯვებულებთან ერთად მიემზადებიან მოსკოვის ტურნირისათვის.

გამარჯვებულნს და პრიზიორებს გადაეცათ განათლების სამინისტროს დიპლომები და პრიზები, რომელიც დაამზადა მოკრივეთა მუდამ უანგარო თანადგომმა ბახვა სახვაძემ. რევაზ მეგრელიშვილმა აღნიშნა ასპარეზობის მაღალი დონე, ვარიანელთა სანაკუნო მასპინძლობა და მაღლობა გადაუხადა გიორგი კანდელაკს ყურადღებისათვის.

შეკითხვაზე წლეულს თუ კიდევ რა შეჯიბრებები ელით ჩვენს მოკრივეებს, რევაზ მეგრელიშვილმა გვიპასუხა: „აპრილში (15-20 აპრილი) თბილისში, უკვე მეოცედ გაიმართება დავით კვაჭაძის სახელობის საერთაშორის ტურნირი.

მსოფლიო ჩემპიონატს 5-16 ივნისს რუმინეთის დედაქალაქი მასპინძლობს, ევროპის პირველობა კი აგვისტოს დასაწყისში კიევსაში გაიმართება. გასახარია, რომ წლეულს ბიუჯეტმა რადაც თანხა გამოყო და საშუალება გვექლება ჩავატაროთ საწვრთნელი შეკრებები, რამდენიმე ტურნირზეც გავემგზავრთ.

მინდა დავეთანხმო გიორგი კანდელაკს საკვდილს იმ მსაჯების მიმართ, რომლებმა [illegible] აარიღეს ვარიანში ჩამოსულს. [illegible]ბრების ბოლო დღეს სტუმრებმა [illegible] მიეგზავნ ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული გიორგის მამის თარაშ კანდელაკის ხსოვნას. გიორგის ყველა წარმატებაც და ვარიანში ბაზის შშენებლობაც მისი ოცნება და ჩანაფიქრი იყო"...

ᲔᲚ. ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ

ᲮᲣᲗᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ „ᲗᲑᲘᲚᲐᲕᲘᲐᲛᲨᲕᲔᲜᲘᲓᲐᲜ"

საბჭოთა ეპოქაში „თბილავიამშენი" ქართული სპორტის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო და გამოირჩეოდა როგორც მაღალი ოსტატობის სპორტსმენებით, ისე მასობრივ-გამაჯანსაღებელ-სპორტული საქმიანობით, უნიკალური სპორტული ბაზებით. გარკვეულწილად, თუ ვინმემ შეინარჩუნა ტრადიციები, ეს მუშაკთა მრავალრიცხოვნებით გამორჩეული ამ სოლიდური საწარმოზეც ითქმის. „ლელო" ხშირად წერს ამაყ მოკრივეებზე, დღეს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავგადმოჭრილ რამდენიმე ათლეტს გაგაცნობთ, რომლებიც სპორტკომპლექს „თბილავიამშენში" საკრთველოს დამსახურებული მწვრთნელის, შესანიშნავი სპეციალისტის, *ვილიამ ხარაზოვის* ხელმძღვანელობით ოსტატდებიან. ეს ისინია: ***ირაკლი ჭოჭუა (55 კგ)*** — ახალგაზრდების შორის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის მეორე პრიზიორი, საკრთველოს საგზნის ჩემპიონი; ***ზურაბ წიკანიძე (84)*** — საქართველოს მრავალგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს მფლადსანი; ***რამან უნგიაძე (55)*** — კადეტთა შორის ევროპის მესამე პრიზიორი, ახალგაზრდს შორის საქართველოს ვიცე-ჩემპიონი; ***დავით ყობერიძე (74)*** — საქართველოს მრავალგზის პრიზიორი ახალგაზრდებში, საერთაშორისო ტურნირის მესამე ადგილსანი; ***ზვიად ქარდავა*** — საქართველოს მრავალგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი, ევროპის პირველობაზე დაიკავა მეოთხე ადგილი, მსოფლიოზე — მეხუთე.

ამ ბიჭებს მომავალი წინ აქვთ, მათ კვლავ კი ნიჭიერი უცტრილი თაობა მიჰყვება უნარიანი მწვრთნელის ვილი ხარაზოვის წინამძღოლობით.

ფოტო რიგორეტ ბაგრიანისა

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: I რიგში (მარცხნიდან) — ირაკლი ჭოჭუა, რამან უნგიაძე, დავით ყობერიძე; II რიგში — ზურაბ წიკანიძე, ვილიამ ხარაზოვი, ზვიად ქარდავა.

„ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ-1"-ᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

● **ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲥᲘᲡ** ბოლო დღეს ბარსელონაში, მხოლოდ ოთხი პილოტი გამოდიოდა. სუეციოსო მათ შორის ალმორნდა რაღუ შემახერი, რომელიც ახალი მანქანით (ვილიამს ფუ-25) ასპარეზობდა, მეორე იყო მონტოია (ვილიამსი), მესამე — ფირმანი (ჯორდანი), პიეცონია (იაგუარი).

● **ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ** საკინიბოს „მონარდის" ხელმძღვანელობამ გაავრთიანილა ამ გუნდის თავგანისმცემლები, რომ არ ჩამოეგონ თადლითების ანკეტაზე, რომლებიც ინტერნეტით მოუწოდებენ „მონარდის" მხარდამჭერ ფინდში გადარიცხონ თანხები. „ვიდაცას სურს „მონარდის" პრობლემებზე ხელი მოითბოს" — ნათქვამია მის მფლობელთა განცხადებაში.

● **ᲨᲐᲜᲮᲘᲡᲜᲘᲗᲔᲚᲘ** ინფორმაციით „მონარდის" მესვეურებმა გადაწყიტეს შეიძინონ ბოლიდი უფრო მსგავი საკინიბოდან და არ შეაშენონ ახალი.

ᲛᲔᲠᲕᲔᲠ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ

ივლისში როსტოვში ევროპის პირველობა გაიმართება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტებს შორის (1986-1987 წლებში დაბადებულები). მანამდე 5 თვით ადრე ტურნირი კადეტებს შორის გლდანში გაიმართა და იგი მსოფლიოს ჩემპიონების აღმზრდელი მწვრთნელის ალადინერ მასსურაძის (1923-1994) ხსოვნას მიეძღვნა. ვალერდა მასსურაძე წლეულს 80 წლისა გახდებოდა. საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის (ყოფილი გლდანის სპორტსოფლა-ინტერნატის) თაოსნობით მერვედ გაიმართა ვალადიმერ მასსურაძის სახელობის ტურნირი და მასში 210 მუშაფავაკ-კადეტმა იასპარეზა (მთავარი მსაჯი — კადეტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ეიკა კრავეიშელი). გაგაცნობთ გამარჯვებულებს: გიორგი ბუკია (42 კგ ორსს), ლაშა გოგიტიძე (46 კგ ქუთაისი), გიორგი ტუღეში (50 კგ. ოზურგეთი), გიორგი ჩხეტელი (54 კგ. რუსთავი), ალბა მეკვანიშვილი (58 კგ ოზურგეთი), გიორგი ჯავახი (63 კგ თბილისი), დავით ბაკურიძე (69 კგ აჭარა), მალხაზ ხიშმაშელი (76 კგ. აჭარა), გურამ გელაძე (85 კგ. აჭარა, მასვე გადაეცა მთავარი პრიზი) და გურამ ფურსელაძე (100 კგ აჭარა).

ᲑᲔᲡᲘᲚ ᲑᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ

ფოტო რიგორეტ ბაგრიანისა

„პორჯღალსნებმა" შესანელები ხახამშრალი დაგოვეს პორტუგალიელებმა კი რუმინელები დაამარცხეს

(პირველი გვერდიდან)

„წინ ძნელი თამაში გველის რუსეთის ნაკრებთან. რუსებს დასაკარი არაფერი აქვთ და, ცხადია, თავდაუზოგავად იბრძოლენენ", — განაცხადა სორელმა.

ამ შეხვედრაში გუნდები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ:

საქართველოს ნაკრები: ბადრი ხეხელაშვილი, მალხაზ ურუკაკაშვილი, თიდო ზიზზიძაძე, ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაკაძე, პალიკო ჭიმშელაძე, მერაბ კვირიკაშვილი, გოდერძი შეგლიძე, აქსენტი გიორგაძე, სოსო ნიკოლეკაო, ვიქტორ დიდებულიძე, ზვიად მათიაშვილი, დავით ბოლოკაშვილი, გრეგორეარ იაშვილი, ილია ზედგინიძე.

სათადარიგონი: გიორგი ელიზბარაშვილი, ირაკლი გუნდაშვილი, ტარიელ რატიანიძე, ზურაბ მეშველიშვილი, მამეკა გორგოძე, არჩილ ეუმბერიძე, დავით ხინჩაგაშვილი.

ესპანეთის ნაკრები: ფერნან ფელასკო, ხაიმე ნავა, სებასტიან ლუბსნესი, ალვარ ენსისო, მანუელ კასკარა, ანდრეი კოვალენკო, ანტონიო ბეტერანი, ხავიერ სალასარი, დავიდ მონრეალი, ანტონიო ორტეგა, მიგელ აბრილი, იგნასიო დელმასა, რამირო გარსია-სალასარი, ალფონსო მატა, სტევ ტუფინეუ.

სათადარიგონი: მიგელ ანხელ-ფერეჩია, ფერნანდო დუსი, პაბლო ფეიხოო, რიხერ რიპოლი, მარკოს მელია, სერხიო სოფტო, ივან კრიადო.

ფოტო ელდარ მალგაზიშვილისა

პორტუგალიის ნაკრებმა ვორიგი სენსაცია ვოახლინა

დაამარცხა ევროპის ერთა თასის ბრაზილელი მფლობელი რუმინეთის ნაკრები ანგარიშით 16:15. ამით, ცხადია, საქართველოს ნაკრებს ერთა თასის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნია: ბოლო ტურში პორტუგალიელები ხომ რუსებს სტუმრობენ, იქ კი „პორჯღალსნთა" დამარცხებლებს წარმატების მეცარე შანსი აქვთ, — „დათვები" არაფერს დაკარგავენ.

ბაბაცნოვი სატურნირო მდგომარეობას:

პორტუგალია	2	2	0	+5	6
საქართველო	2	1	0	+27	4
რუსეთი	1	1	0	+33	3
ესპანეთი	2	0	0	-64	2
რუმინეთი	1	0	1	-1	1
ჩეხეთი	0	0	0	0	0

თეიგიზ ჩოგანიძე

ჯერ ერთი... დაიხსომეთ ეს სახელი

შარშან „ლელამ" გამოაკვლია განცხადება — არგენტინის ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმაღლესი მოკრძალების ცენტრი

ფილიალი და დათო ჯვარშვილიშვილი ბუენოს-აირესში, არგენტინის ნაკრების ბაზაზე.

ქართველი ახალგაზრდა ვიმეზარი კიდეც ამ ჯგუფისაა.

ამ დღეებში არგენტინიდან დაბრუნდა ნ. პატარქაციშვილი, რომელმაც ბევრ საინტერესო ცნობებთან ერთად დათოს ამბავიც ჩამოიტანა.

ჩვენი ჯგუფიდან მიწვეულ ფაწეულს სტაჟირება ჯგუფის პრემიერა „ბ"-ს საფეხბურთო კლუბ „დეფენორო" ვალენსია, ახლა მზადებას განაგრძობს თავის ასაკში პრიმერა „ა" დივიზიონში „ჩაკაბარიტა ხენინორში", მერე დიდ გუნდში გადაყვანის ჯერიც დადგება.

„შრომისმოყვარე, მოწესრიგებული ახალგაზრდა ყურადღების ცენტრში მოხვდა, მას პირადად მეფერვერის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი (1978), ცნობილი არგენტინელი მეკარე უბადლო ფილოლი, რომელიც კონსულტაციებსაც უტარებს. ცენტრის მთავარი მწვრთნელი კი პირადად აკვირდება და რეკომენდაციებს აძლევს, შეიღიეთი ეპყრობა, ზმრად დაჯეს ოჯახში" — გვითხრა ნ. პატარქაციშვილმა.

ასე რომ, არის „პირველი მერცხალი", რომელმაც გზა გაკვალა, გზა, რომელიც მუდამ ხსნილია სხვებისთვისაც. დარეკეთ თბილისში 899.23-55-20.

ბ. ჯაჯანიძე

ევროპელ ფრანსისკო დო სანტოსს ანუ გარინჩას — კეთილშობილური ქესტი

გარინჩამ საფეხბურთო არენაზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე მიიპყრო ყურადღება როგორც თავისებური სტილის ფეხბურთელმა — მისი დებიტები ბრაზილიის ნაკრებში 1958 წელს შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატზე შედგა სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ. მას შემდეგ გარინჩამ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში 58 მატჩი ჩაატარა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იწვნია მარცხის სიმწარე 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიო პირველობაზე უნგრეთის ნაკრებთან მატჩში 1-3.

გარინჩას კარიერა საკმაოდ ულიმღამოდ დაიწყო ბრაზილიის საფეხბურთო კლუბ „ბოტაფოგოში". მწვრთნელებს იშვიათად თუ გამოუყვანდათ იგი ძირითად შემადგენლობაში. ბრაზილიის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში „ბოტაფოგო" პირველ ტაიმს აგებდა 1-2 მწვრთნელმა მეორე ტაიმში გარინჩა გამოიყვანა. იგი მოედანზე თავს ისე გრძნობდა, თითქოს მახლობელ კოპაკაბანას პლაჟზე დასეირნობსო. მოწინააღმდეგე მატჩის ერთ-ერთ მომენტში პენალტით დაჯარიმდა. გარინჩას ყველა თანაკლუბელმა ბურთს ზურგი შეაქცია, დარტყმა ვერავინ გაბედა, პენალტის გაფუჭებაა ასეთ მომენტში შეიძლებოდა კარიერის დასასრულიც გამხდარიყო. სწორედ ასეთ კრიტიკულ მომენტში ბერთათან გარინჩა მივიდა. მწვრთნელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დარტყმა და ბურთი მოწინააღმდეგის ბადეში გაიეგია. ამ გოლს გარინჩამ ორიც მოუმატა და მატჩის გმირი გახდა...

გარინჩამ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და მიეუბოდგად საყოველთაო აღიარებისა, გამდიდრებაზე არასოდეს უფიქრია. თავის დროზე მადრიდში მას ესაუბრა საფრანგეთში გამოშვალ ეკონალის „პირუარ დიუ ფუტბოლიოს" კორესპონდენტი ფრენსის დე გოლვენი და რამდენიმე შეკითხვი მიმართა. კითხვაზე თუ რამდენი ბურთი აქვს გატანილი კარიერის მანძილზე, გარინჩამ უპასუხა:

— ოფიციალურად 680, მაგრამ თუ დავეთანხმებთ ამბანაგურ მატჩებში გატანილ ყველა გოლს, ალბათ ათასს გადავეჯარბე.

● *ვის გამოარჩევდით ინდივიდუალური თამაშით მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე?*

— უპირველესად ბეკენბაუერსა და ლიბუდას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

● *ვინ იქნება თქვენი მემკვიდრე ბრაზილიის ნაკრებში?*

— ეიარზინიო მომწონს და შეიძლება ჩემი მემკვიდრეც ის გახდეს, მაგრამ ჩემი მსგავსი ფეხბურთელი აღარ არსებობს. ეგეც არ იყოს, ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. ახლა ძალისმიერ ფეხბურთს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ტექნიკურს. ფეხბურთი სპექტაკლის მაგიერ ხელოვნურად ბრძოლად იქცა. ზოგი ფიქრობს, რომ უკეთესია, ის, ვინც უკეთ დარბის, მაგრამ არა — საუკეთესო მუდამ ისაა, რომელსაც სხვაზე უკეთესი ტექნიკა აქვს. სწორედ ამან განაპირობა ბრაზილელთა ტრიუმფი მეხიკოში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფეხბურთის სპეციალისტი გარინჩას პელეზე მაღლა აყენებს — ასეთია რიცხვთა ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო. რაც შეეხება პელეს, იგი ამას არასაფეხბურთო გზით გაწეულ პროპაგანდას უნდა უმადლოდეს — განაცხადა ფეხბურთის ჯადოქარმა.

წლების განმავლობაში ფიფამ, „დიდების დარბაზში", რომელიც 1997 წელს დაარსდა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ეფიქროდეს, გარინჩასათვის ადგილი არ გამოიძებნა. ამ ამბავმა საფეხბურთო სამყაროში დიდი პოლემიკა გამოიწვია. ბრაზილიელთა უმრავლესობამ გარინჩა „საუკუნის სპორტსმენად" მიიჩნია, და პელეზე წინ დააყენა. დიდი ხანი არაა, ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება გარინჩასათვის ადგილი მოენახათ „დიდების დარბაზში". ამის შესახებ „ეტერნალ დო ბრაზილი" ამცნობდა მკითხველს. ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობამ გაიმარჯვა. რიო-დე-ჟანეიროს გიგანტურ სტადიონ „მარაკანას" შესასვლელთან დგას გარინჩას ბიუსტი. წარწერით: **„გარინჩას — ხალხის სახელოს"...**

საფეხბურთო კარიერის დასრულების კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, გარინჩას მოუწყეს გამოსათხოვარი მატჩი. გარინჩა 50 წელსაც არ იყო მიღწეული — 1983 წლის ინვანარში გარდაიცვალა.

საფეხბურთო „კარიერა გარინჩამ 1947 წელს დაიწყო „პაუ-გრანდეს" საფეხბურთო კლუბში. 1949-53 წლებში გამოდის „პაუ-გრანდეს" პირველ გუნდში. 1953-64 წლებში ბრაზილიის ერთ-ერთი პოპულარული კლუბის „ბოტაფოგოს" წევრია, აქედან იგი „კორინტიანსს" შეიერნა, სადაც გამოდიოდა 1965-68 წლებში. 1968 წლიდან კოლუმბიაშია და თამაშობს ქალაქ კალის „ატლეტიკოში", ბოლოს კი კარიერას ისევ რიო-დე-ჟანეიროს პოპულარულ „ფლამენგოში" ასრულებს 1968-69 წლების საფეხბურთო სეზონში.

გარინჩა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი — მანოელ ფრანსისკო დო სანტოსი გახლავთ, სამჯერ იყო რიო-დე-ჟანეიროს (ფიფეი გუნა ბარას) ტატის ჩემპიონი (1957, 1961 და 1962 წ.წ.), 1955-66 წლებში ბრაზილიის ნაკრების წამყვანი ფორვარდია. გარინჩა სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა (1958, 1962, 1966 წ.წ.) ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1958 და 1962 წლებში. 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ და საუკეთესო ბომბარდირად დასახელდა.

დემეურ ტორაძე

P.S. წლეულს, 20 იანვარს 20 წელი შესრულდა გარინჩას გარდაცვალებიდან. წლეულსვე, 28 ოქტომბერს მას 70 წელი შეუსრულებოდა.

1962 წ. ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონია. სურათზე (მარცხნიდან): დგანან — ჯალმა სანტოსი, ზიტო, ვალმარი, ზოზიმო, ნილტონ სანტოსი, მაურო, ჟერმი გოსლინგი; I რიგში — მასაეტესი ამერიგო, გარინჩა, დიდი, ვავა, ამარილდო, ზაგალო.

ჩემპიონატის შაბათ-კვირის ტურის მატჩებს თბილისმა, ბათუმმა და რუსთავმა უმასპინძლა. გაგაცნობთ შედეგებს: სსუ — აკადემია 78:65 (20:13, 13:26, 24:12, 21:14); დინამო — ალფი 98:86 (20:10, 20:28, 31:15, 27:33); ბასკო — მაკაბი 129:58 (29:15, 33:16, 34:16, 33:11).

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ბაზების დაკვირვებენ:

ვოლდოვა ისრაელში ჩავა

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ მოლდოვას ნაკრები მორიგ სპარინგ-პარტნიორს ეძებდა და იპოვა კიდეც. მოლდოველები 5 მარტს თელ-ავივში ამხანაგურად გაეგებიბრებიან ისრაელის ნაკრებს. როგორც იცით, უფამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, ისრაელის გუნდებს საკუთარ მოედანზე საერთაშორისო მატჩების ჩატარება აუკრძალა, თუმცა ეს აკრძალვა არ ეხება ამხანაგურ თამაშებს.

საქართველოს თასის მეთექვსმეტეფინალის პირველი მაგჩები

ფავორიგთა უპირაგესობით

ბუშინ, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტეფინალის პირველი მატჩებით გაიხსნა სიფუბტურთო სეზონი. უამინდობის მიუხედავად, თერმომეტრე მატჩ ჩატარდა და როგორც მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო, ფავორიტების უპირატესობით წარიმართა.

ლოკომოტივი — თსუ 1-0
გორდა — სპარტაკი 0-3
სოხუმი — ალაზანი 7-1
ვიტა-ჯორჯია — ჩიხურა 7-1
მილანი — ნორჩი დინამოელი 1-0
ცხინვალი — ჭაბუკთა ნაკრები 1-1
მეტალურგი — ქობულეთი 0-3
კოლხეთი 1913 —
ლოკომოტივი (სამტრ) 6-0
ლაზიკა — გურია 1-2
ტორპედო — სამგურალი 5-1
დინამო-2 (თბ) — ოვერია 2-1

ძნელი დასაწყისი

ლოკომოტივი — თსუ 1-0

24 თებერვალი. თბილისი. „ლოკომოტივის" სპორტდარბაზი. მოედანი.

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშელი, ორბელაძე, სალუქაძე, გ. კვარაცხელია, სირაძე, ლაცაბიძე (რუსია 28), ბურნაძე (ძოძუაშვილი 46), გალიარდო, კაიდარაშვილი (სოსელია 69), რ. ონნანი.

თსუ: ჭრიკიშვილი (ქამუნაშვილი 85), ყუჯრეშვილი, კოჟლაშვილი, აფშილავა, ჯოჯუა, ბუჭიაშვილი, ბარბაქაძე, სახოკია (ბესთავეი 89), ელოშვილი, ლ. კვარაცხელია.

გოლი: 1-0 სოსელია (90).

გაფაფრთხილება: ელოშვილი (52), სიროაძე (53), კოჟლაშვილი (70), სახოკია (90).

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი).

ბუშინ საქართველოს თასის მეოთექვსმეტეფინალის პირველი მატჩები გაიმართა. „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე ერთგზელი ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ლოკომოტივმა" „თსუ"-ს უმასპინძლა. უამინდობამ და სიცივემ მატჩს თავისი კვალი დამჩნია. თამაში ორივე გუნდს უჭირდა. თუმცა ცაკაჩისის შეგირდებმა შეხვედრა მაინც გამარჯვებით დასრულეს.

მთელი 90 წუთის განმავლობაში უპირატესობა რკინიგზელების მხარეს იყო, სტუმრები კი მხოლოდ უხეშობით იჩენდნენ თავს. სირაძეს, ორბელაძეს და გალიარდოს მეტოქეს კარის დალაშქვრის შანსი კი ჰქონდათ, მაგრამ ბურთი ან მიზანს სცდებოდა, ან მცველები იგერიებდნენ. მატჩის ბოლოს ყოლი მაინც გავდა სტუმართა კარში, ეს 90-ე წუთზე სოსელიამ მოახერხა.

ლელა ჯანკოტაძე

სტუდენტური შემართებით

მეხუთე ტურის მატჩებით დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფუტბალში (დარბაზის ფეხბურთი). ტურნირის უდავო ფავორიტებად ჭგუფების ლიდერები თბილისური გუნდები თსუ და „იბერია" შეიძლება მიეჩინოთ. ჩემპიონატი მეორე წრის მატჩებით მარტში განახლდება. ამჟამად სატურნირო ვითარება ასეთია:

ა ჯგუფი

	თ.	ქ.
თსუ	5	15
იბერია	5	10
მარდი	5	7
უნივერს.	5	6
აკადემია	5	3
მაშისონი	5	3

ბ ჯგუფი

	თ.	ქ.
იბერია	5	15
ქუთაისი	5	12
ქორები	5	6
ჰეთფორა	5	6
ლოკომ.	5	3
აკარა	5	3

ბალხაზ ასათიანი რკინიგზას გაუყვა

საწვრთნელი შეკრებისა და საკონტროლო მატჩების შედეგებით თუ ვემსჯელებთ, თითქმის, გადაწყვეტილია ის, რომ მომავალ სეზონში, რუსეთის ჩემპიონის, „ლოკომოტივის" ლიდერსებს დაიცავს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბალხაზ ასათიანი. ქართველი ფეხბურთელი რკინიგზელთა თაგაცეს, თვალში დსხლ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩებისას მოუვიდა და იგი ძირითადი შემადგენლობისთვის შეიგულა. იური სიომინი ასათიანის მომზადების დონით კმაყოფილია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ყოფილი ქუთაისის „ტორპედოელი" მოსკოვში მყარად უნდა დამკვიდრდეს. „ბას კარგი ტექნიკა აქვს, ფიზიკურადაც უნდა მომძლავრდეს, ჩვენ მას ძირითადი შემადგენლობისთვის ვამზადებთ და პირველ ხანებში შეიძლება დუბლებშიც ვთამაშოთ. ასე იგი, ახალ კლუბსა და მის სათამაშო სტილს უფრო ადვილად შეეგუება" — თქვა იური სიომინმა.

გორსა და ზესტაფონში ცვლილებებია

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბები ახალ საფეხბურთო სეზონს ცვლილებებით ხვდებიან.

განსაკუთრებით ეს ეხება ზესტაფონის „მეტალურგს". გუნდს მწვრთნელიც და პრეზიდენტიც ახალი ჰყავს. თასის გათამაშებაში და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება გურამ მაზნიშვილი. კლუბის ახალი პრეზიდენტია ზესტაფონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გია საყვარელიძე, აღმასრულებელი დირექტორი — გია ღიბრაძე.

მთავარი მწვრთნელი შეეცვალა გორის „ფიფასს". ვლადიმერ ხაჩიძეს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „ფიფა" ვანო ხორგუაშვილმა ჩაიბარა.

თავი 3

რბენა ბურთის გარეგბით

7-11 წლის ბავშვებისთვის ბურთის ჩამოშორება მთელი პრობლემაა. მას ეჩვენება, რომ ირგვლივ, მისთვის, სხვა არანაირი საქმე არ არსებობს. მათ უყვართ ბურთით თამაში, ეს კი უნდა წვავხლოსო, რადგან ტექნიკური ჩვევების გამომუშავება ამ სტადიაში დიდ მნიშვნელობას იძენს, ეიდრე იმის სწავლა, თუ როდის უნდა მტოვის გვერდის აკლაზე და როდის უნდა გადაწოდოს ბურთი — ეს მერე თავისთავად მოვა მოთამაშედ ჩამოყალიბების კეკადაკეკელ. ამ ეტაპზე მწვრთნელის საკვანძო თემაა ბურთით ტრიუკების ეფექტურმენტირება, ახლის მიგნება და ძველის ფართო დიაპაზონით განმეორება.

ორგანიზაცია და შინაარსი. მოთამაშეთა ორი ჯგუფი დგება ერთმანეთის პირისპირ მოედნის თავსა და ბოლოში 11-14 მ. დაშორებით. თითეოეულ ჯგუფს აქვს თითო ბურთი. ჯგუფის თავში მდგომი რბილად გზაზეს ბურთს პირდაპირ. გადაკეკეს რა ბურთი მთელ სივრცეს, მეორე ჯგუფის თავში მდგომი მიიღებს მას და იგივეს იმეორებს საპირისპირო მხარეს. მოთამაშეები ბურთს გზაზინან ორივე ფეხით, სისწრაფის ზრდით ან ზონის გაფართოებით, რათა მოთამაშეებმა დაფარონ დიდი მანძილი ბურთით.

ინვენტარი. ოთხი დგარი, ორი ბურთი.

რეკომენდაცია: ვარჯიში შეიძლება ჩატარდეს ერთი ბურთით. ყოველი მოთამაშე ქუსლით აჩერებს ბურთს ხაზთან მიღწევისას, იქვე მოძრაობას მეორე იწყებს, როგორც კი მიიღებს ბურთს. ვარჯიშის გასართულებლად და შეგიბრძენის ხასიათად მისაცემად შეიძლება სტარტის ერთდროულად აღება.



ვარჯიში 12

ამოცანა. ბურთის ტარება მოძრაობის მიმართულების ჩქარი ცვლით.

